ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

ოთხშაბათი, 20 იანვარი, 1943 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 2 (258). ფასი 30 კაპ.

ლენინ-სტალინის დროშით წინ გამარჯვებისაკენ

19 წლის წინად, 1924 წლის 21 იანვარს საბჭოთა კავშირის ხალხებმა და მთელმა მშრომელმა კაცობრიობამ უმძიმესი დანაკლისი განიცადეს. ამ დღეს გარდაიცვალა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ბელადი, ბოლშევიკური პარტიის შემქმნელი, პირველი მუშურ-გლეხური სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორი და ხელმძღვანელი **ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.** უღრმესმა მწუხარებამ შეიპყრო მთელი დედამიწის მშრომელნი. **ლენინის** სახელი, **ლენინის** სიტყვა და საქმე, **ლენინის** ხელმძღვანელობა შთააგონებდა, რაზმავდა, ზრდიდა ჩაგრულ კაცობრიობას, მიჰყავდა იგი ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მშრომელმა მასებმა **ლენინის** სახით დაჰკარგეს უსაყვარლესი, ბრძენი მეგობარი და ბელადი, **მარქს-ენგელსის** საქმის მტკიცე გამგრძობი, რომელმაც განავითარა და გაამდიდრა მარქსისტული მოძღვრება ახალი ისტორიული ეპოქის გამოცდილებით. საბჭოთა კავშირის ხალხებმა **ლენინის** სახით დაჰკარგეს უდიდესი მასწავლებელი, რომელიც თავისი საქმითა და სიტყვით, თავისი ბრძნული მოღვაწეობით და მოძღვრებით ნერგავდა ჩვენში იმის შეგნებას, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო, ხალხი.

ლენინის დიადი დროშა ხელში მტკიცედ აიღო მისმა განუყრელმა თანამებრძოლმა და მისი საქმის დიდმა გამგრძობმა ამხანაგმა **სტალინმა.** **მარქს-ენგელს-ლენინის** მოძღვრება ამხანაგმა **სტალინმა** დაიცვა, განამტკიცა და განავითარა.

ბოლშევიკური პარტიის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის და მთელი მშრომელი კაცობრიობის სახელით ილიჩის ნეშტის წინაშე ამხანაგმა **სტალინმა** დასდო მარად სახსოვარი ისტორიული ფიცი, ფიცი იმისა, რომ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა ხალხი დაიცავდა და განამტკიცებდა ყველა იმ დიად მონაპოვარს, რასაც თავისი ნათელი სიცოცხლე შეალია დიდმა **ლენინმა.**

ილიჩის გარდაცვალების ყოველი წლისთავი არის არა მარტო **ლენინის** განუზომელი რევოლუციურ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის აღნიშვნის დღე, არამედ იმის შემოწმების დღეც, თუ როგორ ასრულებს პარტია და საბჭოთა ხალხი ამხანაგ **სტალინის** მიერ დადებულ ფიცს.

ამჟამადაც, როდესაც აღვნიშნავთ **ლენინის** გარდაცვალების 19 წლისთავს, ვიგონებთ **ლენინის** ნათელ სახეს და გონების თვალით ვსინჯავთ, ვამოწმებთ, თუ რა გავაკეთეთ განვლილ წელს, თუ როგორ შევასრულეთ **სტალინის** მიერ **ლენინისათვის** მიცემული აღთქმა.

უკვე მეორედ საბჭოთა ხალხს **ლენინის** ხსოვნის დღის აღნიშვნა განსაკუთრებულ პირობებში უხდება. დაჯავშნული ველური ფაშიზმი ჩვენ ქვეყანას შემოესია. ამ განსაცდელმა გაასალკლდევა ბოლშევიკური პარტია, გააკაჟა საბჭოთა ხალხი, რომელსაც ეს პარტია წინამძღოლობს. საბჭოთა ხალხმა ისე, როგორც არასოდეს, დაძაბა თავისი საბრძოლო და შრომითი ენერგია, რომ საფრთხისაგან დაეცვა თავისი დიადი მონაპოვარი.

25 წლის განმავლობაში ზრდიდა ამხანაგი **ლენინი** ჩვენს პარტიას და გამოკვერა ყველაზე ძლიერი, ყველაზე გამობრძმედილი მუშათა პარტია მსოფლიოში, — ამბობდა თავის ფიცში ამხანაგი **სტალინი.** — ცარიზმისა და მისი ოპრიჩნიკების დარტყმა, ბურჟუაზიისა და მემამულეთა გაცოფება, კოლჩაკისა და დენიკინის შეიარაღებული თავდასხმა, უცხო სახელმწიფოთა შეიარაღებული ინტერვენცია, ბურჟუაზიის ასპირიანი ბეჭდვითი სიტყვის სიცრუე და ცილისწამება, — ყველა ეს მორიელნი, ღრიაკალნი ნიადაგ ესხმოდნენ თავს ჩვენს პარტიას მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, მაგრამ ჩვენი პარტია იდგა სალკლდესავით, მტრის დარტყმას ვაჟკაცურად იგერიებდა და მუშათა კლასი მიჰყავდა წინ გამარჯვებისაკენ.

სალკლდესავით დახვდა კომუნისტური პარტია ფაშისტური ბარბაროსების თავდასხმას, არნახულ მძიმე განსაცდელს. მიჰყვებოდნენ რა თავიანთ საყვარელ ბელადს, კომუნისტებმა კვლავ დაამტკიცეს, რომ ისინი სულ სხვა წყობის ხალხია, სულ სხვა მასალით არიან ნაგები, რომ მათ შესწევთ ნებისყოფა და სულიერი სიმტკიცე გადაიტანონ ისეთი, სიდუხჭირე და ქარიშხალი, როგორიც არის გაცოფებული დაჯავშნული ფაშიზმის თავდასხმა. **ლენინ-სტალინის** პარტია დღეს ისეთი მთლიანი, განმტკიცებული და მონოლიტურია, როგორიც არასოდეს არა ყოფილა იგი.

ამხანაგმა **ლენინმა** წასვლისას გვიანდერძა მთელის ძალღონით განვემტკიცებინა მუშებისა და გლეხების კავშირი. ეხლანდელი ომის განსაცდელის ჟამს ნათელი გახდა, თუ რა ძლიერ ძალად ქცეულა ეს კავშირი. კოლმეურნე გლეხობა მუშებთან, ინტელიგენციასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მხარ-და-მხარ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდა ყოველ მტკაველს მშობლიური საბჭოთა მიწისას, უაღრესად ძაბავდა მთელ თავის ძალღონეს ზურგში, შრომის ფრონტზე. გმირმა საბჭოთა ხალხმა ეხლახან კვლავ გვიჩვენა უმაღლესი პატრიოტული სულისკვეთების ბრწყინვალე მაგალითი, გაიღო რა ასეული მილიონები თავისი დანაზოგიდან ახალი სატანკო კოლონების, ახალი საჰაერო ესკადრილიების ასაგებად. ამით მან კვლავ ცხადჰყო უსაზღვრო ერთგულება **ლენინის** იმ ანდერძისადმი, რომელიც გვავალებს განუწყვეტელ ზრუნვას ჩვენი წითელი არმიის, ჩვენი წითელი ფლოტის გაძლიერებისათვის.

ლენინმა წასვლისას გვიანდერძა განვემტკიცებინა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. ჩვენი დიდი სამშობლოს მიწა-წყალზე მცხოვრებმა ყველა მოძმე ერმა თავისი შვილების საარაკო გმირობით და საოცარი შრომითი სიმამაცით დაიცვა და სისხლით განამტკიცა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, გადააქცია იგი შეუდრეკელ და აუღებელ ციხე-სიმაგრედ, რომლის სიმტკიცეს შეელეწა ფაშისტური ურჩხულის ხერხემალი.

სწორედ იმის გამო, რომ მთელი საბჭოთა ხალხი, დიდი **სტალინის** ფიცის თანახმად, უსაზღვროდ ერთგული დარჩა **ლენინის** ყოველი ანდერძისა, საბჭოთა ქვეყანა უდიდესი გამარჯვებით ხვდება თავისი უსაყვარლესი ბრძენი ბელადის **ლენინის** გარდაცვალების 19 წლისთავს: საბჭოთა ჯარების კონტრდარტყმა ფაშისტურ არმიაზე ჩრდილოეთ კავკასიაში, წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევა სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, ფაშისტური არმიების რკალში მომწყვდევა და გარდუვალი მოსალოდნელი შემუსვრა სტალინგრადთან, შეტევა ცენტრალურ ფრონტზე, შეტევა ვორონეჟის სამხრეთით, უკანასკნელად, შეტევა ლადოგის ტბის სამხრეთით და ლენინგრადის ბლოკადის გარღვევა, — საბჭოთა იარაღის ყველა ეს წარმატება არის დასაწყისი ფაშიზმის ბნელ რეაქციულ ძალებზე ჩვენი ხალხის საბოლოო გამარჯვებისა, მისი შემდგომი ძლევამოსილებისა.

ლენინ-სტალინის დროშით, დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიემართება წინ, გამარჯვებისაკენ.

---

25 იანვარს, საღამოს 7 საათზე მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მწერალთა სასახლეში აწყობს დისპუტს თემაზე:

„თბილისის ქართული თეატრების დადგმები სამამულო ომის პერიოდში".

მოხსენებას წაიკითხავს **ლეო ქიაჩელი.**

დისპუტში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან მწერლები, მეცნიერები, თეატრის მუშაკები და სხვა მაყურებელნი.

„...ვინც ყოველნაირად და თავდადებით არ ეხმარება წითელ არმიას, — ვინც მთელი ძალ-ღონით არ უწყობს ხელს წითელ არმიაში წესრიგისა და დისციპლინის დამყარებას, იგი გამცემი და მოღალატეა... იგი ულმობლად უნდა მოვსპოთ".

„რაკი ომზე მიდგება საქმე, ყველაფერი ომის ინტერესებს უნდა დაემორჩილოს. ჩვენი ქვეყნის მთელი შინაური ცხოვრება უნდა დაემორჩილოს ომს, ამ მხრივ ოდნავი ყოყმანიც კი დაუშვებელია".

ლენინი

„ლიტერატურის მატიანე"

საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა გამოსცა „ლიტერატურის მატიანეს" 3-4 წიგნი.

„ლიტერატურის მატიანეს" ეს წიგნი შეიცავს შემდეგ შინაარსს: რედაქციისაგან, აკაკის მშობლიურ კუთხეში (საქართველოს სსრ სახ. ლიტერატურული მუზეუმის ექსპედიციის მასალებიდან).

შემდეგ მოთავსებულია საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების საყურადღებო მოგონებები აკაკი წერეთელზე: ანასტასია ერისთავ-ხოშტარია — დაუვიწყარი შეხვედრა აკაკისთან, დომენტი თომაშვილი—აკაკის შესახებ, ილია ზურაბიშვილი — მოგონებანი აკაკიზე, რუსუდან ნიკოლაძე—რიონის პირას, იაკობ ფანცხავა—ჩემი მოგონება, მოსე თოიძე—როგორ დავხატე აკაკი წერეთელი, არტემ ახნაზაროვი—ერთი ეპიზოდი აკაკის ცხოვრებიდან, ნ. აზიანი—რამდენიმე შეხვედრა აკაკისთან, ნ. ბაგრატიონ-წერეთლისა—აკაკი, თამარ წერეთელი—აკაკი წერეთელი ჩემს ხსოვნაში, ვასილ წერეთელი—ძია აკაკი, პაპუნა წერეთელი—პოეტის სამშობლო სოფელში, კონსტანტინე ნიკოლაძე—მოგონებანი აკაკიზე, ვას. წერეთელი—„სულიკოს" ავტორი ჩემს ხსოვნაში, ნინო ელიაშვილი—აკაკი და ბავშვები, ნიკო გვარამძე—აკაკი ქართულ თეატრში, ვასილ ალდადანოვი—მომჯადოებელი მოსაუბრე, ზაქარია ფორაქიშვილი—აკაკი ქართული ლექსიკონის შესახებ, ილარიონ ქღენტი—აკაკი და ახალგაზრდობა, პ. მამინაიშვილი—ჩემი ძველი დღიურიდან, იონა მეუნარგია—აკაკის ცხოვრებიდან (პუბლიკაცია ს. ცაიშვილისა), ვსევოლოდ ჩაგოვეცი—სამი შეხვედრა პოეტთან, ნ. ლენდერი—მამა-პაპათა ბუდეში (პუბლიკაცია თ. ოყრეშიძისა).

დღიურებისა და მემუარების განყოფილებაში მოთავსებულია: იონა მეუნარგიას—დღიურები (პუბლიკაცია ს. ცაიშვილისა), ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის)—დღიურები (პუბლიკაცია გ. ნათაძისა), ზაქარია ჭიჭინაძის — ალექსანდრე ყაზბეგი (პუბლიკაცია გიორგი ლეონიძისა), შიო არაგვისპირელის — ავტობიოგრაფიული ნაწყვეტი, მარიამ შარვაშიძის — ალექსანდრე ორბელიანის ცხოვრებიდან.

„ლიტერატურის მატიანეს" უკანასკნელ განყოფილებაში მოთავსებულია აკად. კ. კეკელიძის მცხეთის დოკუმენტი მე-11 საუკუნისა და მისი ცნობები ქართული მწერლობის შესახებ, სილ. იორდანიშვილის — რუსთაველის ჩვენამდე არმოღწეული პოემა-რომანის შესახებ, გიორგი ლეონიძის ბესიკი (მონოგრაფია).

ლიტერატურის მატიანეში" მოთავსებულია ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების—ა. წერეთლის, ი. მეუნარგიას, ნ. ნიკოლაძის, დ. კეზელის, გრ. ორბელიანის, სტ. ჭრელაშვილის, ალ. ყიფშიძის (ფრონელის), ა. ფურცელაძის, ზ. ჭიჭინაძის, ა. ყაზბეგის, ალ. ორბელიანის, ვახ. ორბელიანის და სხვების პორტრეტები.

„ლიტერატურის მატიანეს" წინამდებარე წიგნი მდიდარ მასალას შეიცავს ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიიდან, შეიცავს 432 გვერდს და ღირს 40 მან.

„ლიტერატურის მატიანე" გამოდის საქართველოს სსრ ლიტერატურული მუზეუმის დირექტორის **გიორგი ლეონიძის** რედაქციით.

გმირული ტრადიციების ქალაქი

ჩვენ ვიცნობთ, სტალინგრადო, შენს მრავალსაუკუნიან ლეგენდარულ სახელს. სამამულო ომის მწვავე და მძაფრ დღეებში, როცა ვიხსენებდით რუსეთის დიდ წარსულს, ხშირად ჩვენს თვალწინ იდგა უხვწყლიანი ვოლგის ნაპირზე ლაღად გაჭიმული, ქალაქი-მშვენება სტალინგრადი.

უკვდავება! უკვდავების ფრთა ჰფარავს სტალინგრადის ბორცვებს, იგი დასადგურდა ამაყ, თითქოს სალი კლდისაგან გამოკვეთილ შენს ქუჩებში ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამოდიოდა რუსეთის სახელმწიფოს გარიჟრაჟი. უკვდავება გახდა შენთვის ჰაერი, რომლითაც ჰსუნთქავდი. და ახლა, როცა შენი ვაჟკაცობის კლდეზე დაიმსხვრა ფაშისტური უწმინდურების მღვრიე ტალღები, როცა ცეცხლის ალში და სისხლის ნიაღვარში გამარჯვებული გამოდი და მტრის წინააღმდეგ შეტევაზე გადახვედი, ეხლა განსაკუთრებული ძალით გვაგონდება ღრმა სიყვარულით გამსჭვალული სიტყვები ხალხისა, სიტყვები, რომლებსაც მან მიმართა თავის სიმღერებსა და ბილინებში ვოლგასა და შენს შესახებ:

Уж как степь, матушка
Протянулась ты до Царицына
До Царицына, точно
Скатен жемчуг изукрашенного,
По сизой да Волге
На ветрях ширяяся.

სტეფან რაზინის მოლაშქრეებმა შექმნეს მრავალი სიმღერა თავის მშფოთვარე და სახელოვან ცარიცინზე—აჯანყებული კაზაკების ცენტრზე. იქ სასიქადულო სახალხო საქმეების უბრალოებაში ჰპოვა მწერალმა ჩაპიგინმა რუსთა წინაპრების ვაჟკაცობის სახე. თავის რომანში „სტეფან რაზინი" იგი ამბობს, რომ ცარიცინი სტეფან რაზინის კაზაკებისთვის გახდა მახლობელ, მშობლიურ არსებად. მათ ამ ქალაქში ებადებოდათ სურვილი ემღერათ სიმღერა ვაჟკაცის ლაღ თავისუფალ ცხოვრებაზე, სამშობლო მიწისა და ადამიანების მომავალ ბედნიერებაზე.

ეს სული თავისუფლების მოყვარეობისა, ეს მისწრაფება ლაღი, ბედნიერი ცხოვრებისაკენ წინაპართაგან მემკვიდრეობად მიიღეს 1918-20 წლის მებრძოლებმა—დიდი ოქტომბრის რევოლუციის მეომრებმა. კვლავ აღდგნენ ის შორეული დღეები თაობათა მეხსიერებაში: 1942 წლის სტალინგრადის დაცვის გმირებს გამოეგებნენ ტყვიებით დაცხრილულ, თოფის წამლის სულით გაჟღენთილ და სისხლით შეღებილ ფარაჯებში ოქტომბრის პირველი წლების გმირები. ალექსეი ტოლსტოიმ მოთხრობაში „პური" აღბეჭდა სტალინგრადის ამ ერთგულ შვილთა სახე, სახე იმ ადამიანთა, რომელთა ყოვლის გამამლახველმა და ყოვლის მძლეველმა ნებისყოფამ მტერს გზა გადაუღობა. ა. ტოლსტოი იშვიათი მხატვრული ოსტატობით მოგვითხრობს, თუ როგორ შემოერტყა 1918 წელს ამ ქალაქს კონტრრევოლუციის ცეცხლის რკალი თუ როგორ გამოვიდა იარებითა და ჭრილობებით დაღარული ცარიცინი ამ უსწორო შეტაკებიდან გამარჯვებული. ის ფურცლები, რომლებიც წარმოგვიდგენენ **სტალინის** როლს ცარიცინის დაცვაში, მოთხრობის საუკეთესო ფურცლებია. მკაფიოდ გვიხატავს ავტორი **ლენინის** საუბარს **სტალინთან** ცარიცინში გაგზავნის წინ: „დღეს ცარიცინი რევოლუციის მთავარი ფორპოსტია, — სთქვა სტალინმა, რომელიც, როგორც ყოველთვის, ღრმად უკვირდებოდა ყოველ სიტყვას, — ცარიცინისათვის უნდა ვიბრძოლოთ"... ვლადიმერ ილიჩს სახე გაუნათდა, „ირკვევა, რომ ბრძოლის ცენტრი ცარიცინია. კეთილი! აი სწორედ აქ გავიმარჯვებთ". შემდეგ მწერალი პლასტიკურად აგვიწერს, თუ როგორ შთაბერა დაუშრეტელი ენერგია **სტალინის** ჩასვლამ, თუ როგორ გამოსჭედა გამარჯვების უდრეკი ნებისყოფა თვით ცარიცინელებში, თუ როგორ გახდა **სტალინის** ვაგონი იმ გულად, საიდანაც ქალაქის ყველა ქუჩასა და ხვეულში დიოდა დარაზმული ნებისყოფა. მწერალს ხიბლავს გმირობა ქალაქის სახელოვან დამცველთა, რომელნიც მკაცრად და გულმშვიდად მიდიოდნენ ბრძოლაში სამშობლოსათვის თავის გასაწირად. ალ. ტოლსტოი თავის მოთხრობას ამთავრებს ამხანაგ **სტალინის** მიერ **ლენინისადმი** გაგზავნილი დეპეშის მარად დაუვიწყარი სიტყვებით: „მოწინააღმდეგე დამარცხებულია და გარეკილი დონს გაღმა".

ცარიცინის გმირული დაცვის 1918 წლის ეპოპეაზე, ხალხმა შეთხზა შთაგონებული სიმღერა, სადაც აღბეჭდილია **სტალინის** უდიდესი ხელმძღვანელი როლი:

განუშორებლად ის ჩვენთან იყო,
გმირი ნაბრძოლი, ნაამაგარი,
გვიწინამძღოლა, მკერდში ჩაგვიდგა
გული, ფოლადზე უფრო მაგარი.

1918 წელს ცარიცინის დამცველთა ბრწყინვალე ბრძოლა უაღრესად მიმზიდველ, ამაღელვებელ თემად გადაიქცა საბჭოთა მწერლებისათვის. როგორც ცოცხალი, ისე სდგას ჩვენს წინ ქალაქი—მეომარი, ვოლგის უდრეკი ქალაქი ცარიცინი ვს. ივანოვის რომანში „პარხომენკო". სადად და ამაღელვებლად გვიჩვენებს ივანოვი ცარიცინის თავდაცვის გმირებს: რიგით მებრძოლს, თავის სიცოცხლე რომ მსხვერპლად მიუტანა სამშობლოს; წითელ არმიელს, მამონტოველებმა რომ აწამეს, მაგრამ დაკითხვისას სიტყვა ვერ დააძრევინეს; მუშა ლამიჩევს, ერთ-ერთი რაზმის შესანიშნავი ხელმძღვანელი რომ გახდა. მწერალი მკაფიოდ წარმოგვისახავს მებრძოლებისადმი ვოროშილოვის მიმართვის სცენას. „უკან დასახევი არსად გვაქვს. ჩვენს უკან არის თავის შერცხვენა და ვოლგა! მომყევით, რევოლუციის შვილნო!". ვოროშილოვის ეს მოწოდება მეომრის ურღვევ ფიცად გადაიქცა ყველა მებრძოლისათვის. რევოლუციის ერთგული შვილების მიერ სიკვდილის არად ჩაგდების და ვაჟკაცობის აპოთეოზს წარმოადგენენ ვს. ივანოვის რომანის ის ფურცლები, რომლებიც გვიხატავენ საძულველ მტერზე ცარიცინელთა გამარჯვების სურათებს. ეს ფურცლები გამსჭვალულნი არიან იმის რწმენით, რომ ცარიცინის სახელი გახდება ადამიანის შეუდრეკელი სიმტკიცის სიმბოლოდ. ყოვლის მძლეველ ამ გრძნობას გადმოგვცემს რუსი პოეტის ნ. ასეევის ლექსი, სადაც სანგარში ერთი მეორის გვერდით მყოფი პოლიტხელი და პოეტი ამბობენ მომავალი გამარჯვების იმედით აღსავსე სიტყვებს:

არ დავნებდებით მტერს სამოწყალოდ,
მტერი ამაყს ქედს ჩვენსას ვერ მოხრის:
თავზე დაგვნათის და წინ მიგვიძღვის
ჩვენი ვარსკვლავი დიდი ოქტომბრის.

სამოქალაქო ომის დღეებში სტალინგრადის თავზედატრიალებულმა განსაცდელმა ეს ქალაქი გახადა უაღრესად მშობლიური და მახლობელი ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის, თითქოს იგი ჩვენი ღვიძლი ადამიანი ყოფილიყოს, რომელთან შეხვედრაც ბუმბერაზი ვოლგის ნაპირებზე სამუდამოდ აღბეჭდილა ჩვენს მეხსიერებაში. და ახლაც, დიადი სამამულო ომის ხანძრის კვამლში, ომის გრიგალში დიადი სტალინგრადი კვლავ წამოიმართა, როგორც გამოწრთობილი და გაკაჟებული მეომარი. როგორც 1918 წლის დღეებში, ახლაც ვოლგის ნაპირების ლაღი და ვრცელი მიწა კვლავ გადაიხნა ყუმბარებით, კვლავ ელვარებს მძვინვარე ხანძრის ალი, ვოლგის აქაფებულ მღელვარე წყალში, ისევე, როგორც 1918 წლის დღეებში, სტალინგრადის დალეწილ ქუჩებში კვლავ ჰქრის თოფისწამლის სუნით გაჟღენთილი ქარი უკვდავებისა. სტალინგრადის დღევანდელი დამცველები ღირსეული ჩამომავალნი არიან იმ ადამიანებისა, რომლებმაც პირველად აღმართეს და ასახელეს ოქტომბრის წითელი ალამი. მათ დაამტკიცეს ეს თავიანთი საამაყო შთამომავლობა. ისინი უძლებდნენ ყოველ დღე სამი ათას თვითმფრინავის თავდასხმას და მტრის ქვეითი ჯარის და ტანკების 15 იერიშს. ისინი კლდედ და ლითონად იქცნენ, ნაბიჯიც არ გადადგეს მათ უკან, ხოლო 25 ნოემბერს თავად გადავიდნენ გადამწყვეტ შეტევაზე მოსისხლე მტრის წინააღმდეგ.

ამიტომ არის ასეთი ღრმა შთაგონებით, მხურვალე გრძნობით, მშფოთვარე გულის სისხლით დაწერილი დღევანდელი სტალინგრადისადმი მიძღვნილი ლექსები, ნარკვევები და მოთხრობები საბჭოთა მწერლებისა. საბჭოთა ქვეყნის ყველა მწერალმა, უკრაინელმა და რუსმა, ქართველმა და სომეხმა, ბელორუსმა და აზერბაიჯანელმა, უზბეკმა და კაზახმა მოქალაქეობრივ ვალად ჩასთვალეს აესახათ თავიანთ შემოქმედებაში სტალინგრადის სწორუპოვარი და უბადლო ეპოპეა. უაღრესად მღელვარე გრძნობით ლაპარაკობს უხუცესი ყაზახი აკინი ჯამბული სტალინგრადელთა საარაკო სიმტკიცის გამო. უკრაინელი პოეტის მიკოლა ბაჟანის ლექსები ერთი განუწყვეტელი ჰიმნია სტალინგრადელი მეომრების უკვდავი ვაჟკაცობისა და ბოლშევიკური ნებისყოფისადმი: როგორც წარმტაცი სიმღერები ისე ჟღერენ კ. სიმონოვის, ვ. გროსმანის და ე. კრიგერის ამაღელვებელი ნარკვევები სტალინგრადელ მეომრებზე, რომლებმაც თავიანთი სულის ძლიერებით, სიმამაცით და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით დასძლიეს მტერი და თვით სიკვდილიც კი. „გავარვარებულ მიწიდან წამომდგარნი, ცეცხლისაგან გარუჯულნი და კვამლისგან გაშავებულნი ისინი მიიწევდნენ გერმანელებისაკენ და იყვნენ მშვენიერნი ამ თავიანთი უძლეველი ვაჟკაცობით: ასე დაიწყო შეტევა. — მოგვითხრობს კ. სიმონოვი.

ყველა საბჭოთა პოეტი, რუსი იქნება იგი თუ უკრაინელი, ქართველი თუ ბელორუსი, სტალინგრადის სიმტკიცესა და შეუპოვრობას სთვლის მთელი საბჭოთა ხალხის მოუდრეკლობის სიმბოლოდ, ხოლო სტალინგრადელთა ბრძოლა მიაჩნია ისეთ უკვდავ გმირულ საქმედ, რომელსაც ბადალი არ ჰქონია ისტორიაში და რომელმაც მარადისობის უჭკნობი გვირგვინით შემოსა საბჭოთა ხალხი. ეს უკვდავი სიდიადე სტალინგრადისა მკვეთრ ლექსში გამოჰკვეთა პოეტმა ა. პროკოფიევმა.

სტალინგრადისადმი მიძღვნილ ქართველ პოეტების ლექსებში განსაკუთრებული ძალით გამოიხატა ყველა საბჭოთა პატრიოტისათვის დამახასიათებელი გრძნობა, ყველა ეროვნების საბჭოთა პატრიოტის მზად ყოფა თავი დასდოს სტალინგრადისათვის, თავი დასდოს საბჭოთა სამშობლოსათვის. სწორედ მოძმე ხალხების შვილთა ამ თავგანწირულებამ მისცა სიმწვავე და სიმძაფრე სტალინგრადისათვის გამართულ ბრძოლას, იმ ბრძოლას, რომელსაც პოეტი ი. ნონეშვილი ასე გვიხატავს:

ეს გრიგალი კი არ გრგვინავს,
შეჯახებული ტალღებთან.
ცას სწვდება მძაფრი გუგუნი
გულმტკიცე სტალინგრადელთა.

ამავე ლექსში პოეტი ამბობს, რომ „რუსებს თუ უკრაინელებს შეუკრავთ მკერდის კედელი". მათთან არიანო საქართველოს შვილებიც, რომელთაც სიყრმიდანვე გულში ჩაუნერგავთ რუსთაველის გმირთა ვაჟკაცობა და რომლებიც სტალინგრადის ზღუდეებთან იცავენ თავის მზიურ საქართველოს. სტალინგრადისადმი მიძღვნილი ქართველი პოეტების ლექსების საერთო ლეიტმოტივი უაღრესად ოპტიმისტურია, მხნეობისა და ვაჟკაცობის აღმძვრელია.

ადამიანური გამძლეობის, შეუპოვრობის, სულიერი სიმტკიცის, გაუტეხელი ვაჟკაცობის დაუვიწყარ სიმბოლოდ მოევლინენ კაცობრიობას საბჭოთა კავშირის ორი ქალაქი, რომლებიც დიდი ბელადების სახელს ატარებენ: — ლენინგრადი და სტალინგრადი. შთაგონებითა და მხურვალედ ლაპარაკობს ალიო მაშაშვილი ძმად შეფიცულს ორ ქალაქზე, რომლებმაც არნახული ომების ცეცხლში ვაჟკაცურად გამოატარეს **ლენინ-სტალინის** დროშა:

ჰგავს მწვავე ჭრილობას მტარვალთა
ნაბიჯით
ნევიდან ვოლგამდე გზა სისხლით ნალაქი,—
დგას ორი ქალაქი, ორი ძმად ნაფიცი,
ლენინის ქალაქი, სტალინის ქალაქი.

სტალინგრადის ლეგენდარულმა გმირულმა დაცვამ კიდევ ერთხელ დაანახვა კაცობრიობას საბჭოთა ქვეყნის სიმტკიცე და უძლეველობა. და ახლა, როცა ფაშისტი ბარბაროსების ურდოები მილეწილნი არიან, ყოველი საბჭოთა პატრიოტი, თავის უწმინდეს მოვალეობად სთვლის შრომითა და ბრძოლით მოგბაძონ თქვენ, სტალინგრადელებო.

ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსი გიორგი ლეონიძისა მთელი სიძლიერით გამოხატავს საბჭოთა ხალხის ურყევ რწმენას, რომ უკვე შორს არ არის ფაშისტური ურდოების საბოლოო განადგურების დღე, ფაშიზმის ბნელ ძალებზე ბოლშევიკური ნებისყოფის გამარჯვების დღე. გ. ლეონიძის პოეტური გამოთქმით სტალინგრადელებმა —

მკერდით გაჰკვეთეს გრიგალთა ბური,
ცეცხლის ელვარი ამტყდარი ცამდე,
და საქართველო ჩვენი ხელთქმნილი
სცოცხლობს, იცოცხლებს უკუნისამდე.

სწორი პოეტური დასკვნაა! ის გოლიათური ვაჟკაცობა, ის განუზომელი სულიერი სიმტკიცე, რომელიც სტალინგრადისათვის გარდახდილ ბრძოლებში საბჭოთა კავშირის მოძმე ერების შვილებმა გამოიჩინეს, უტყუარი თავდებია იმისი, რომ ბუმბერაზი რუსეთი, მშვენიერი უკრაინა, ბელორუსია, ყველა ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა სცოცხლობს, იცოცხლებს უკუნისამდე.

ტატიანა შაროევა

საბჭოთა კავშირის გმირთა პორტრეტები მხატვართა გამოფენაზე

ლადო ავალიანი

საქართველოს მხატვართა კავშირის გალერეაში მოწყობილ გამოფენაზე „საბჭოთა ხალხის სამამულო ომი გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ", რომელიც შარშან გაიხსნა და წელს შეივსო, მრავალი ნაწარმოები იქცევს ყურადღებას. განსაკუთრებით ცნობილ მხატვართა დიდი ტილოები საკმაო მასალას იძლევიან განხილვისა და მხატვრული ღირსების მხრივ საფუძვლიანი შეფასებისათვის.

რადგან ამჟამად საგაზეთო წერილის ზომა საშუალებას არ გვაძლევს გულდასმით განვიხილოთ და შევაფასოთ გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა დარგისა და ჟანრის ნაწარმოები, ცალკე გამოვყოფთ პორტრეტს და ამ წერილში მხოლოდ ამ ჟანრის რამდენიმე თვალსაჩინო ნაწარმოებს განვიხილავთ.

უნდა ითქვას, რომ პორტრეტული ჟანრი მკრთალად გამოიყურება ამ გამოფენაზე. გამოფენაზე წარმოდგენილ წითელარმიელთა, მეთაურთა და საბჭოთა კავშირის გმირთა პორტრეტებიდან მხოლოდ ორი ნაწარმოები იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, და მხატვრული ღირსებებით თვალსაჩინოდაც გამოირჩევა; ესენი არიან: ბაჟბეუკ-მელიქოვის საბჭოთა კავშირის გმირის საფონოვის პორტრეტი და უჩა ჯაფარიძის საბჭოთა კავშირის გმირის გახოკიძის პორტრეტი. დანარჩენი პორტრეტების ავტორები, კმაყოფილდებიან რა მხოლოდ ფოტოგრაფიული მიმსგავსებით, თავიანთი ნაწარმოებებით ვერ ახდენენ მაყურებელზე სათანადო შთაბეჭდილებას.

ბაჟბეუკ-მელიქოვის მიერ შესრულებული საბჭოთა კავშირის გმირის საფონოვის პორტრეტი კომპოზიციურად რაიმე სიახლეს არ შეიცავს. საყურადღებოა მხოლოდ წმინდა ფერწერული შესრულება და აქედან გამომდინარე ის მხატვრული შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს ეს ნაწარმოები მაყურებელზე. ოსტატი ფერებს ძუნწად ხმარობს, მაგრამ სწორედ ამ სიძუნწით აღწევს იგი მრავალფეროვნების შთაბეჭდილებას. ფერთა ურთიერთ შეხამების, ჩრდილ-სინათლის, ძლიერი ტონებისა და ნახევარ ტონების ოსტატური გამოყენების და, ბოლოს, უნაკლო ნახატის შეწყობით ნაწარმოები ღებულობს დასრულებულ სახეს.

ბაჟბეუკ-მელიქოვი თავისი მხატვრული ღირსებით აღწევს არა მარტო საფონოვის გარეგნული მსგავსების გადმოცემას, არამედ გმირის შინაგანი ბუნების თავისებურების გამოვლინებასაც. ამ ტილოზე გმირი საფონოვი წარმოგვიდგება, როგორც დინჯი, მოფიქრებული და მედგარი მებრძოლი, ამავე დროს — როგორც გულთბილი და კეთილშობილი ადამიანი. პირქუშ ცის ფონზე (ცა სამაგალითოდ აქვს დახატული ბაჟბეუკ-მელიქოვს) მოჩანს საფონოვის სახე, ძლიერიდან მკრთალში გარდამავალი მოყვითალო ფერებით დაწერილი. სახის ამგვარ ტონს, იერს ძალიან უხდება შავი, უსახო ფერი, რომლითაც შესრულებულია წარბები და თვალის გუგები (აგრეთვე თმა და ტანსაცმელი). უბრალოდ, მაგრამ გაწაფული ხელით, გაბედულად, ოსტატურად, ცოცხლად და მიმზიდველად აქვს დახატული ბაჟბეუკ-მელიქოვს საფონოვის თვალები, ცხვირი, ტუჩები და სახის დანარჩენი ნაკვთები. ორიოდე ფერის, ორიოდე ტონის შეწყობით ახერხებს ოსტატი სახის ნაკვთების გამოძერწვას და გაცოცხლებას. იმავე დროს არც დაჩრდილულ, არც განათებულ ნაწილში ფერი არა ჰკარგავს ბუნებრივ სისუფთავეს და გამჭვირვალობას.

ქართული მხატვრობის ახალგაზრდა წარმომადგენელი უჩა ჯაფარიძე უკვე სახელმოხვეჭილი და ცნობილი ოსტატია. მისი თემა გამორკვეულია, ოსტატი კი ჯერ არ არის დასრულებული, იგი ჯერ კიდევ ზრდის პროცესშია და ეს ზრდა მიმდინარეობს ლოღიკურად და თვალსაჩინოდ.

საყურადღებო და სასიხარულოა ის გარემოება, რომ მისი ყოველი ახალი ნაწარმოები მაჩვენებელია ოსტატობის სფეროში ძიებისა და კვლევის, დაკვირვებული და გულმოდგინე მუშაობის შედეგად ზრდისა და აღმავლობისა.

უჩა ჯაფარიძის მხატვრული ოსტატობის ეხლანდელი დონე საშუალებას აძლევს მას იდგეს არა მარტო მოწინავე მხატვართა პირველ რიგში, არამედ ყოველ ახალ გამოფენაზე ყურადღების ცენტრშიც. ყოველი მისი ნაწარმოები იმდენ სიახლეს შეიცავს, ისეთი მიმზიდველობის ძალის მქონეა, რომ მაყურებელს ერთხელ ნახვის შემდეგ აღარ ავიწყდება არც ნაწარმოები, არც ოსტატი და მისგან მოუთმენლად მოელის ახალ ნაწარმოებს.

ზემოაღნიშნულ გამოფენაზე უჩა ჯაფარიძე წარმოდგენილია ორი ნაწარმოებით. ერთია კომპოზიცია სამამულო ომის თემაზე, მეორე—საბჭოთა კავშირის გმირის გახოკიძის პორტრეტი. უჩა ჯაფარიძეს კარგა ხანია ვიცნობთ, როგორც პორტრეტის ოსტატს („სტალინი თავის სამუშაო კაბინეტში"). როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც მხატვარს უცდია გახოკიძის პორტრეტი კომპოზიციურად ორიგინალურად გაეაზრებინა და ასცდენოდა ტრაფარეტს. ეს პირველი სიძნელე და ამოცანა მხატვარს წარმატებით აქვს დაძლეული და გადაწყვეტილი. მხატვრის მიერ მიგნებული, შერჩეული პოზა გმირის დახასიათებაში ერთი ძლიერი მომენტთაგანია. ეს პოზა ტონს და სტიმულს აძლევს მხატვარს, რომ გააღრმაოს და გააძლიეროს გახოკიძის დამახასიათებელი თავისებურებანი, მისი გარეგნობა დაუკავშიროს მის შინაგან ბუნებას და, ამრიგად, გმირის პორტრეტი ჰარმონიულ მთლიანობაში ამომწურავად წარმოგვიდგინოს.

უჩა ჯაფარიძის ტილოზე გახოკიძე წარმოგვიდგება მთლიანი ტორსით, (ჩარჩო პორტრეტს სჭრის მენჯს ქვემოთ)., რომელიც მოჩანს გვერდიდან, პროფილში; მას მარცხენა ხელი მენჯს ზემოთ ქამრისთვის ჩაუვლია. სახე სამი მეოთხედით მიბრუნებული აქვს მაყურებლისაკენ. ეს მდგომარეობა უეჭველად აცოცხლებს პორტრეტს და მაყურებელი მას ითვისებს ძალდაუტანებლად მთელი თავისი უბრალოებით და ბუნებრიობით. მუქ-მოლურჯო ფონზე (რომელიც სურათის ზემო ნაწილში უფრო ბაცია) რელიეფურად არის გამოკვეთილი გმირის ფიგურა.

გარდა იმისა, რომ მხატვარს ტანთსაცმელის მუქ-მწვანე ტონებში გადმოცემა ესაჭიროება მთლიანი შთაბეჭდილებისათვის, კოლორიტისათვის, ეს გარემოება ოსტატს მთავარშიაც ეხმარება—გმირის სახის უფრო ხაზგასმით გადმოცემასა და მიმზიდველად გამოკვეთაში.

ამ ტილოზე გმირის სახე გიზიდავს თავისი უბრალოებით და კეთილშობილებით. ეს შთაბეჭდილება უფრო ძლიერი იქნებოდა, რომ მხატვარს ერთგვარი „გადაჭარბებული ზომიერება" არ გამოეჩინა. სახის დამუშავებაში, ცალკეული ნაკვთების გადმოცემაში, ფორმების გამოძერწვაში არ იგრძნობა ამ ოსტატისათვის ზოგ შემთხვევაში დამახასიათებელი გაბედული მოსმა ფუნჯისა, ფერების სითბო, სიწმინდე და გამჭვირვალობა, რაც უჩა ჯაფარიძემ უკვე მოიპოვა და მარჯვედაც გამოიყენა ზოგიერთი ადრე გამოქვეყნებული ნაწარმოების წერის დროს (მაგ., დავით აღმაშენებლის პორტრეტი).

თავისი ყოველი ახალი ნამუშევრით უჩა ჯაფარიძე გვახარებს და გვარწმუნებს, რომ იგი, რეალისტი მხატვარია, ჩვენი ეპოქის დიდ მოვლენათა ამსახველი.

დავით კლდიაშვილის პიესები ქუთაისის თეატრში

პ. ბახტურიძე, გ. სამხარაძე

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა მწერლის დ. კლდიაშვილის პიესები „დარისპანის გასაჭირი" და „ირინეს ბედნიერება" (დადგმა რეჟ. ს. ოყურეშიძისა).

დ. კლდიაშვილის კომედიებს, რომლებიც თეატრმა განასახიერა, ახასიათებთ ცოცხალი მოძრაობა, იშვიათად მრავალფეროვანი მეტყველება, ჰუმორით აღსავსე დიალოგები. დ. კლდიაშვილის კომედიებისათვის უაღრესად დამახასიათებელია გმირთა ხასიათების გამოსახვის სპეციფიკური ხერხი. იმერული გამოთქმები გაშარჟებული ან გავულგარებული არ არის, პირიქით, ისინი გმირთა ბუნებრივ თვისებებიდან გამომდინარეობენ, რაც მსახიობებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ თამაშის ბუნებრიობა, უშუალობა, განცდის სიცხადე და გულწრფელობა.

ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის არჩევანი დიდად საქებურია და მისაბაძი სხვა თეატრებისათვის.

„დარისპანის გასაჭირი" იმერეთის ღარიბი აზნაურობის რეალისტური სურათია. დარისპანის თითქოს კომიკური სახე უღრმესი ტრაგიკულობის მძიმე ბეჭედს ატარებს. ოთხი გასათხოვარი ქალიშვილის მამა იძულებულია სოფელ-სოფელ ატაროს თავისი კაროჟნა, რომ იქნებ ვინმეს შეაჩეჩოს. რეპლიკა, რომლითაც დარისპანი ნათესავ ქალს გამოეხმაურა: „წანწალმა მომკლა, ჩემო მართა, წანწალმა. დავათრევ ამ ოჯახდასაქცევს და კაცი არ გამოჩნდა „წამყვანი" უკიდურესობამდე გაჭირვებული კაცის ნაღვლიანი ამონაკვნესია. დარისპანის საუბედუროდ, ოსიკო ხარებაძეს დანიშნული ჰყავს და ბედმა აქაც უმტყუნა. მაგრამ დარისპანი გულს არ იტეხს და ამაყად გაიძახის: „თავსხლაფი დავასხი მაგისთანა სასიძოს! ჩემი ქალი კიდეც რომ მეშეტებოდეს გასათხოვრად, მაგას, მაინც არ გავატანდი". თეატრს უნდა გაეხსნა გმირთა სახეები, რომ პიესა დამაჯერებელი ყოფილიყო, რომ მაყურებელს ეგრძნო ამ სიტყვების გულწრფელობა.

საერთოდ თეატრის რეჟისურას და კერძოდ პიესების დამდგმელს რეჟ. **ს. ოყურეშიძეს** მეტი მუშაობის ჩატარება მართებდათ ანსამბლში მონაწილე მსახიობებთან დ. კლდიაშვილის ტექსტის ღრმად და საფუძვლიანად გაცნობისათვის, სტრიქონებს შორის ნაგულისხმევი განცდებისა და აზრების შეგრძნობისათვის.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მსახიობთა უმრავლესობამ ვერ დასძლია პიესის განსახიერებასთან დაკავშირებული ამოცანები. როგორც სცენის გამოცდილმა კადრებმა, ისე ახალგაზრდა მსახიობებმა სწორად ვერ გაიგეს პიესის დედა-აზრი და აქედან გამომდინარეობს ყველა ნაკლი, რომელიც ამ პიესის შესრულებას თან სდევდა.

მსახ. **კ. აბესაძე** (დარისპანი) ვერ აღმოჩნდა ამ როლში ავტორის მიერ გააზრებული სახის სწორი გამხსნელი. მან დარისპანის ნიღაბი წმინდა კომიკური ხაზებით [illegible], რითაც გამოაცალა „მარილი" დ. კლდიაშვილის ჩანაფიქრს. მსახიობს უნდა განესახიერებინა იმ დარისპანის შინაგანი დრამა, რომელიც ვინმეს გასაცინებლად როდი ამბობდა: „ოჯახს ვერ ნახავთ, რომ სამი-ოთხი ქალიშვილი არ ჰყავდეს გასათხოვარი და მთხოვნელი კი არსადაა, შენი ჭირი შემეყაროს. აღარ ეკიდებიან ოჯახს... ე გოგოები კი გვეყრიან სახლში და გვბერდებიან საცოდავად". ავტორმა მრავალ მხრივ დაგვიხატა დარისპანი — მისი ეკონომიური ცხოვრება, ქედმაღლობა, კუდაბზიკობა. ავტორმა სევდით გამსჭვალა თავისი გმირები. აი ასეთი ტიპი ვერ წარმოგვიდგინა მსახიობმა.

მსახ. **თ. კიკნაძის** კაროჟნაც ვერ ავლენს ამ ადამიანის მთელ სახეს. კაროჟნა ჭეშმარიტად შესაბრალისი ადამიანია. რამდენს არ ეცადა მამამისი, მაგრამ ვერავის „შეატყუა", როგორც დარისპანი ამბობს, „საუკეთესო მეოჯახე ქალი". კაროჟნა მონაა უფროსებისა, მაგრამ რა ჰქნას, არა გამოუდის-რა. კაროჟნა მამის დაძალებით ცდილობს იმღეროს, დაუკრას „ბესიკანტი", მაგრამ ბედი ყველგან ღალატობს. თ. კიკნაძე სიარულის დამსგავსებით უფრო ჰქმნის კაროჟნას დაბეჩავებულ სახეს, ვიდრე იმ მადლიანი სიტყვების ოსტატური გამოყენებით, რომლებსაც ავტორი კაროჟნას ათქმევინებს.

დამსახ. არტისტ **მ. ხონელს** ოსიკო ხარებაძე უფერული გამოუვიდა. როდესაც მას უჩვენეს საცოლე, ისედაც სიტყვა-ძუნწმა ოსიკომ ყოველგვარი ეფექტის, სიტყვის ცხოველი შეგრძნობის გარეშე წარმოსთქვა: „აქვს რამე?" დ. კლდიაშვილი ტყუილად როდი ათქმევინებს მართას: „დრო მოვიდა, შვილო, ისეთი, ყველა წუხს, ყველას ნამეტანი გასაჭირი ადგია... ყმაწვილები ისე შეშინდნენ, რომ ოჯახის მოკიდებას ერიდებიან, ქალიშვილებს ხელს აღარ კიდებენ..." ეს გამოწვეული იყო კაპიტალისტური სინამდვილით.

შედარებით დამაკმაყოფილებლად შეასრულეს თავიანთი როლები **მ. ფხაკაძემ** (ნატალია), **ნ. წინამძღვარმა** (მართა), **თ. ჯობაძემ** (პელაგია) და **ქარცივაძემ** (ონისიმე).

* * *

მეორე პიესაც „ირინეს ბედნიერება" ნაწილობრივ ასევე დაუძლეველი აღმოჩნდა მსახიობთა კოლექტივისათვის. ამ პიესაში დ. კლდიაშვილმა ძველი ცხოვრების, ოჯახური ტრაგედიის მძიმე სურათები გადაშალა. ავტორმა მეტად დამახასიათებელი სახეები წარმოუდგინა შთამომავლობას. პიესის მთავარი გმირი აბესალო სალამთაძეა. აბესალო ქართველი აზნაურობის პირწავარდნილი ნაშიერია. იგი ურცხვი, უტეხი, უშიშარი და თავზეხელაღებული „რაინდია".

ვ. კინწურაშვილს უნდა დაეხატა შეძლებული აზნაურის სახე, რომელიც ყველა უფლება-ღირსებას ფეხქვეშ სთელავს. ვიქტორის განცხადებაზე, რომ „იმათ (ირინესა და როდამიშვილს) სიტყვა აქვთ ერთმანეთისათვის მიცემული", აბესალო უპასუხებს: „თუ გინდ ჯვარისაწერად წამდგარი იყვნენ, მე რომ ვთქვა, უარს მეტყვიან?" უნდა აღვნიშნოთ, რომ მსახიობმა, თუმცა ბევრგან საკმაოდ გადააჭარბა, საერთოდ მაინც სწორად დაგვიხატა აბესალო სალამთაძის, ამ შეძლებული აზნაურის სახე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დამსახ. არტისტი **ვ. ჩხიკვაძე** ფილიპე ბარბაქაძის როლში. მან სწორად, უნაკლოდ გახსნა ფილიპეს სახე. ვ. ჩხიკვაძემ დაგვიხატა ძველი დროის ტრადიციის ბრჭყალებში მოქცეული ადამიანი. იგი თავისუფლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ახერხებს საწინააღმდეგო სიტუაციებში გადასვლას. განსაკუთრებით კარგია მსახიობი პირველ სურათში.

ახალგაზრდა მსახიობი **ლ. ალფაიძე** პირველად გამოდის ირინეს საპასუხისმგებლო როლში. ირინეს წარმოსახვით მსახიობმა რამდენადმე განგვაცდევინა ადამიანი, რომელიც მორჩილია თავისი ბედისა. ირინე გულწრფელი სიყვარულით არის დაკავშირებული როდამიშვილთან, მაგრამ მამის დახავსებულმა მსოფლმხედველობამ გაიმარჯვა. ტანჯვად გადაიქცა მისი ცხოვრება. მეორე სურათში ლ. ალფაიძემ უფრო ეფექტურად წაიყვანა როლი.

გულწრფელად და დამაჯერებლად განასახიერეს ეპიზოდური როლები დამსახ. არტისტმა **ა. მურუსიძემ** (სამსონი) და არტ. **ფ. მუსერიძემ** (ეკა). კარგია ვიქტორის როლში არტ. **მ. ხვანიძე**.

წითელი არმიის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი" სცემს მუშურ-გლეხური წითელი არმიის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ მხატვრულ ნაწარმოებთა კრებულს. კრებულში შევა ჩვენს გმირულ არმიაზე და მის მიერ სამამულო ომში გამოჩენილ ვაჟკაცობასა და სიმამაცეზე დაწერილი ახალი გამოუქვეყნებელი ლექსები, მოთხრობები და მხატვრული ნარკვევები.

„სამშობლოს ვიცავთ გმირულად"

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილებამ გამოსცა ქუთაისში მომუშავე საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა კრებული „სამშობლოს ვიცავთ გმირულად". კრებულში მოთავსებული ნაწარმოებები ასახვენ საბჭოთა ხალხის მედგარ ბრძოლას ვერაგი მტრის წინააღმდეგ.

კრებულის შინაარსი ასეთია: დ. თომაშვილი — „სამშობლოს ვიცავთ გმირულად", დ. მესხი—„წითელ არმიაში გაწვეულებს", —„ფაშისტების აღსასრული", შ. ჩარკვიანი—„გმირ წითელ არმიელებს", გ. გისელი—„სამაისო ეტიუდები", ვ. გვეტაძე—„მოსკოვი", ს. ისიანი—„გამოგვაგზავნა სამშობლო მხარემ", ანდრია სანი—„საიერიშო", ვ. გუგუშვილი—„შეხვედრა", გრ. იმედაძე—„მივალ, გმირობა გაჩვენო", ს. თევანიძე — „გამარჯვებაში ჰქუხს უკვდავება", რ. ბერიძე—„ბრინჯაოს ძეგლი", შ. ტოგონიძე—„მტერს არ ასცდება განადგურება", მ. კაკიტელაშვილი—„გერმანელი ბავში", ა. გურჯიძე—„სამამულო ომის მინიატურები", ს. ალიმოვი—„დობილი", დ. კვირკველია—„ენაჭარტალა", „ბოროტი გული", ევგ. ფურცხვანიძე—„სისხლი სისხლისა წილ", ვანდა ვასილევსკაია — „პარტბილეთი".

კრებული შეიცავს 46 გვერდს და ღირს 5 მან.

„სამშობლოსათვის"

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილებამ დეკემბრის ბოლო რიცხვებში გამოსცა ერთდროული გაზეთი „სამშობლოსათვის".

გაზეთში მოთავსებულია შემდეგი ავტორების ლექსები, მოთხრობები, სტატიები დ. თომაშვილი, გ. გისელი, ა. გურჯიძე, შ. ჩარკვიანი, ს. თევანიძე, შ. ქურიძე, ვ. გუგუშვილი, ვ. ევსიშვილი, შ. ტოგონიძე, ზ. ლორთქიფანიძე, გ. მელაძე, დ. კვირკველია, ვ. გვეტაძე, ნ. ჭინჭარაული, მ. კაკიტელაშვილი, ე. ფურცხვანიძე და სხვ.

გაზეთში მოთავსებულია აგრეთვე საინფორმაციო ცნობები: „ქუთაისში მომუშავე მწერლები სამამულო ომის პერიოდში", „ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრი სამამულო ომის დღეებში", „ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამოები".

ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია რუსულ ენაზე

პოეტმა ბ. სერებრიაკოვმა რუსულად სთარგმნა და გამოსაცემად დაამზადა ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია. ანთოლოგია იხსნება ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსით „კავკასია", მას მოსდევს გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, რაფიელ ერისთავისა და მე-19 საუკუნის ყველა თვალსაჩინო პოეტის პატრიოტული ლექსები. ანთოლოგიის მეორე განყოფილება შეიცავს ქართველი საბჭოთა პოეტების მიერ სამამულო ომის გამო უკანასკნელ თვეებში დაწერილ საუკეთესო ლექსებს.

მოკლე ხანში ანთოლოგია განხილული იქნება მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციაში.

გიორგი წერეთელი

(დაბადებიდან 100 წლის თავის შესრულების გამო)

შალვა რადიანი

გიორგი წერეთელი ერთ-ერთი საუკეთესო და თავისებური წარმომადგენელია სამოციანი წლების ახალი თაობის მოღვაწეებისა. იგი იყო ძლიერი და ორიგინალური მხატვარი, თვალსაჩინო მოაზროვნე, ნაციონალ-რევოლუციურ განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანი მოღვაწე, მებრძოლი პროგრესიული იდეალებისათვის, ხალხის ინტერესების დამცველი. განსაკუთრებით ღრმა კვალი გაავლო გ. წერეთელმა მხატვრულ შემოქმედებაში. ქართული ლიტერატურის ისტორიაში მან შესანიშნავი ფურცელი ჩასწერა, მოგვცა ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ფენის ცხოვრების რეალისტური ისტორია მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე (1840-1890 წ.). მისი მხატვრული ნაწარმოებნი გვიხატავენ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეს, ცხოვრებაში მომხდარ ტიპიურ მოვლენებსა და საზოგადოებრივ სარბიელზე მოქმედ სოციალურ ძალებს. გ. წერეთლის შემოქმედება ხასიათდება ისტორიულ ასპექტში თემების ფართოდ განვითარებით და შინაარსის მრავალფეროვნებით.

გიორგი წერეთელი დაიბადა 1842 წელს. იგი გამოსული იყო თავად-აზნაურთა წრიდან. მისი მამა ექვთიმე წერეთელი იყო ძველი თაობის, კონსერვატიულ-რეაქციული წრის წარმომადგენელი.

გიორგი წერეთელი თავდაპირველად სწავლობდა ქუთაისში. იქაური გიმნაზიის დასრულების შემდეგ, იგი გაემგზავრა პეტერბურგს და შევიდა უნივერსიტეტში. რუსეთში მასზე დიდი გავლენა მოახდინა რევოლუციურ-პროგრესიულ ახალგაზრდობამ, მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა — ჩერნიშევსკიმ და დობროლიუბოვმა. იგი პეტერბურგშივე იწყებს აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. 1861 წელს მან მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა მოძრაობაში, რისთვისაც სხვებთან ერთად ისიც დაატუსაღეს. შემდეგ გიორგი წერეთელი გაემგზავრა საზღვარგარეთ და იქ ისმენდა ლექციებს ბუნებისმეტყველებისა და სოციოლოგიის დარგში.

ფართო და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა გიორგი წერეთელმა საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაიწყო. იგი რედაქტორობს „დროებას", რომელიც შემდეგ სერგეი მესხს გადასცა. მისი ხელმძღვანელობით გამოდიოდა ჟურნალი „კრებული", რომელთანაც გამოდიოდა აგრეთვე „სასოფლო გაზეთი". 1891 წლიდან თავის მეუღლესთან ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან ერთად ხელმძღვანელობდა „ჯეჯილს", ხოლო 1893 წლიდან დაიწყო „კვალის" გამოცემა. გიორგი წერეთელი სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა „ცისკარში", „საქართველოს მოამბეში", „ობზორსა", „ნოვოე ობოზრენიეში" და სხვა ბეჭდვით ორგანოებში.

არ ყოფილა არც ერთი დარგი საზოგადოებრივი საქმიანობისა ჩვენს ცხოვრებაში მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, რომ მასში გიორგი წერეთელს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს. იგი სწერდა ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, დრამებს, ფელეტონებს, ისტორიულ და საბუნებისმეტყველო წერილებს, ფილოლოგიურ და არქეოლოგიურ გამოკვლევებს. ყველა მისი ნაწერი აღბეჭდილია ნამდვილი ნიჭით და ცხოვრების ღრმა ცოდნით.

გ. წერეთელი ქართულ ლიტერატურაში აგრძელებს კრიტიკული რეალიზმის ხაზს, რაშიაც მან შეიტანა პუბლიცისტური პათოსი, „აზრის სიძლიერე" და სატირული განზოგადოების სიმკვეთრე. ის, რაც ბურჟუაზიული კრიტიკის წარმომადგენლებს სისუსტედ მიაჩნდათ გ. წერეთლის შემოქმედებაში — პუბლიცისტური გამიშვლება, აქცენტირება პიროვნულ საწყისებზე, — ყველაფერი ეს იყო მხატვრის არა სისუსტე, არამედ ნიჭის სრულიად კანონიერი და შინაგანად გააზრებული თვისება. პუბლიცისტური სიმახვილე, მხატვრული „პირდაპირობა", ინტელექტუალიზმი იყო ის ახალი ელემენტი, რაც მოიტანა გ. წერეთელმა ქართულ ლიტერატურაში. სიტყვიერი მხატვრობა, როგორც თვითმიზანი, სიტყვის ორნამენტალიზმი მას შეგნებულად არ იტაცებდა. არ იყო მართებული ესთეტიკურ-ბურჟუაზიული კრიტიკის საყვედური გ. წერეთლის მიმართ გაჭიმული და დამძიმებული თხრობის შესახებ, რასაც თითქოს იგი ამჟღავნებდა თავის მხატვრულ ნაწარმოებებში. სინამდვილეში მკითხველი ვერ შეხვდება მის შემოქმედებაში განყენებულ აღწერებს, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონდეთ ნაწარმოების მთლიანობასთან. გ. წერეთელი თავის ნაწარმოებში ყოველთვის მიაქცევს მკითხველის ყურადღებას ადგილმდებარეობას, გარემოცვას, ყოფის თავისებურებას, რომლებიც არკვევენ, საზღვრავენ, ამტკიცებენ ადამიანთა მოქმედებას, შეგნებასა და ხასიათს. ზოგჯერ შეიძლება გ. წერეთელი საქმის ინტერესის გულისთვის იყენებდეს ძალზე ბევრ „ნივთიერ" დამამტკიცებელ „მასალას", მაგრამ ამით მისი მხატვრული ლოგიკის დამაჯერებლობა უფრო მტკიცე და არგუმენტირებული ხდება.

გ. წერეთლის მხატვრული ინდივიდუალობა მოსჩანს წერის მანერაშიც და სიუჟეტის ამორჩევაშიც. მან იცის მძაფრი ხაზები, პერსონაჟის გამოკვეთა და ხასიათის არსებითი მხრით წარმოდგენა. ზოგჯერ მხოლოდ ერთი ნიშნის ჩვენებითაც კმაყოფილდება, მაგრამ ეს ისეთი ნიშანია, რომ ყველაფერს ამბობს. გ. წერეთელს ნატურალისტების მსგავსად არ უყვარს დაწვრილმანება. მას ისეთი მკვეთრი თვალი აქვს, რომ დროულად და ყოველთვის ამჩნევს არსებით ნიშანს. მისი მხატვრული თხრობა მიმდინარეობს სრულის ბუნებრიობით და მსუბუქად. მას არა აქვს გართულებული ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური „ძიება", რომ მისმა განვითარებამ დააბნიოს მკითხველი. მისი მხატვრული ნაწარმოებები ხასიათდებიან თავიდან ბოლომდე სისადავით და გარკვეულობით. მისი თხრობა ცოცხალი და მკაფიოა.

გ. წერეთელი ქართულ ლიტერატურაში გამოვიდა „შეუფერავი" რეალიზმის დამცველად. ეს შემოქმედებითი მეთოდი მან საფუძვლად დაუდვა თავის მხატვრულ პრაქტიკას. გ. წერეთელი სინამდვილეს უდგებოდა როგორც რეალისტი, როგორც ანალიტიკოსი, როგორც „მკვლევარი". მას თავისუფლად შეეძლო ეწოდებინა თავის თავისთვის (ჩვენს სინამდვილესთან შეფარდებით, უფრო მცირე მასშტაბით) „სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი" — ისევე, როგორც ამას მეცხრამეტე საუკუნის საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ ამბობდა გენიალური ბალზაკი. გ. წერეთლის მხატვრული ნაწარმოებები არის თავისი დროის სოციალური ცხოვრების ფართო და მძაფრი სურათები.

გ. წერეთელმა ღრმად გაითვალისწინა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული განვითარების გზები და თავისი შემოქმედების შინაარსიც შეუფარდა ამ პრობლემებს. ამიტომ არის, რომ მის მხატვრულ ნაწარმოებთა თემატიკა უაღრესად თანადროული იყო. ბატონყმური ყოფა და მისი რღვევა, ბრძოლა მსხვილ მემამულეებსა და წვრილ აზნაურობას შორის, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება, კლასობრივი დიფერენციაცია და გლეხობის ბრძოლა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ, ბურჟუაზიის გამოსვლა სამოქალაქო ასპარეზზე, ინტელიგენციის ახალი თაობის წარმოშობა,—აი, ის მოვლენები, რომლებიც ასახა გ. წერეთელმა თავის რომანებსა და მოთხრობებში.

გ. წერეთელი თავის მხატვრულ ნაწარმოებს ყოველთვის რეალურ ფაქტებზე აგებდა. ეს რეალური მასალა ჰქმნიდა ისტორიულ-საზოგადოებრივ ფონს მის რომანებსა და მოთხრობებში. „მგზავრის წიგნი, ანუ კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა", „გულქანი", „პირველი ნაბიჯი". „ჩვენი ცხოვრების ყვავილი", „რუხი მგელი", „მამიდა ასმათი", „ედიშერ ქელბაქიანი" და სხვა ნაწარმოებები, კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებზეა აგებული, ხოლო მომქმედ პირთა უმრავლესობას თავისი პროტოტიპები ჰყავდა ცხოვრებაში.

თავისი ნაწარმოებებით — „მგზავრის წიგნი ანუ კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა", „მამიდა ასმათი", „რუხი მგელი" გ. წერეთელი გახდა დავით კლდიაშვილის წინამორბედი. მისი ასმათი, როსაფი, ავთანდილ კვიმატაძე და სხვები, სოლომონ მორბელაძის, პლატონ და ბეჟანა სამანიშვილის წინაპრები არიან. მეტად მოხდენილად აგვიწერს გ. წერეთელი ავთანდილ კვიმატაძის კარმიდამოს. იგი საწოკე მთის ერთ მებატონეთაგანი იყო: „ძმები რომ გაიყარნენ, მას აქეთ ათი წელი იყო, მაგრამ ავთანდილ კვიმატაძე მაინც ჯერ კიდევ ვერ დასახლებულიყო როგორც შეეფერებოდა [illegible] აზნაურის ოჯახს. მისი გამოწყობილი იმერული ოდა და თუმცა წაბლის გულისაგან იყო აშენებული, მაგრამ სახლის დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა. ეს სამთვალიანი სახლი ცხრა მუხის ბოძზე იყო შეკუწებული, მხოლოდ ერთს თვალს ჰქონდა იატაკი და ჭერი, მაგრამ იატაკის ფიცრებს ისე დაეღო პირი, რომ თუ კაცი გაფრთხილებული არ იყო ზედ სიარულის დროს, შეიძლებოდა ფეხის ცერი ჩავარდნოდა ფარღალში. სხვა ოთახებს და აივნებს ჯერ არც ჭერი და არც იატაკი არ ღირსებია... აივანზე ორი-სამი ფიცარი იყო გადებული იატაკდაგებულ ოთახამდის, რომ იქ შესვლა შეძლებულიყო. კიბის მაგივრად ორი ხე იყო აივნის დირეზე აყუდებული და ზედ საფეხურების მაგიერად მსხვილი ჯოხები იყო გარდიგარდმო დაკრული. სტუმარი თუ მოისურვებდა ამასთან კიბით ოდაში შესვლას, ცოტა ჯამბაზობაშიაც გავარჯიშებული უნდა ყოფილიყო. თვით ოდის იმ ერთს თვალს, საცა ჭერ-იატაკი დაგებული იყო, არც შუშები ჰქონდა ჩასმული, არც ბუხარი მიშენებული. მხოლოდ გრძელი ფიცრები იყო გაჭიმული ერთ კედლიდან მეორე კედლამდე და ერთ კუთხეში ზეწარ გადაფარებული ქვეშაგები ელაგა. ავთანდილს ჰქონდა კარგი ძელური საჯალაბო სახლი შუაგულ კერა-გაჩაღებული, საცა სახლობა ჰყავდა დაბინავებული. სტუმარი, რომ მოვიდოდა, იატაკიან ოთახში შეიყვანდა და როცა სტუმარი თიკანსავით კვინტრიშით შეირბენდა ციცაბო კიბესა, ავთანდილი ბოდიშს მოჰყვებოდა: „უკაცრავად, ჩემო ბატონო, რომ ჯერ ოდა რიგიანად არ მაქვს მოწყობილი, მაგრამ ახალი მოსახლე გახლავარ, სულ ათიოდე წელიწადია, რაც დავესახლე, თუ ღმერთმა მომასწრო ამ სახლის მოთავება, ვგონებ კარგი შენობა უნდა დადგეს". საგლეხო რეფორმის შემდეგდროინდელი თავადაზნაურული ცხოვრების შეუფერავი სახეა მოცემული ამ სურათში.

როგორც ვხედავთ, გ. წერეთელი თავის მნიშვნელოვან ნაწარმოებში მტკიცედ მიჰყვება რეალიზმის გზას. ამიტომ არის, რომ მისი შემოქმედება წარმოადგენს მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრების შესანიშნავ მხატვრულ ისტორიას. გ. წერეთლის რომანებიდან და მოთხრობებიდან ჩვენ ვეცნობით საქართველოს წარსული ყოფის მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებს.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო ჭუღუკიძე.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ 1943 წ. 3 თებერვალს, დღის 1 საათზე, უნივერსიტეტის კლუბის დარბაზში (მარის ქ. № 1)

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე

დოცენტი **შალვა დიმიტრის-ძე რადიანი**

დაიცავს დისერტაციას ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე:

„ვასილ ბარნოვი და ისტორიული რომანის პრობლემა"

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,
აკად. **კ. კეკელიძე**
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,
პროფ. დოქტორი **ლ. მელიქსეთ-ბეგი**
პროფ. დოქტორი **ალ. ბარამიძე**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თ. ს. უ. რექტორი
აკად. **ა. ჯანელიძე.**

სახელმწიფო დაზღვევა
სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები ღებულობენ ნებაყოფლობითს
დაზღვევაზე საოჯახო ქონებას
ავეჯს, ტანსაცმელს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, პურეულს, პროდუქტებს, წიგნებს, სურათებს, სანადირო და სასპორტო ინვენტარს და სხვ.
საოჯახო ქონება შეიძლება დაზღვეულ იქნას რაგინდ თანხაში, ხოლო არა უმეტეს მისი ღირებულებისა სახელმწიფო და კოოპერატიული ფასების მიხედვით, გაცვეთის გამოკლებით.
დაზღვევის გადასახდელები დაწესებულია 1-დან 4 მანეთამდე სადაზღვევო თანხის ყოველ 1000 მანეთზე იმისდა მიხედვით, თუ რა მასალისაგანაა კედლები და სახურავი იმ შენობისა, რომელშიაც მოთავსებულია სადაზღვევო ქონება.
მოქალაქენო, დააზღვიეთ საოჯახო ქონება!
მცირე გადასახდელებით თქვენ უზრუნველყოფილი იქნებით ხარალისაგან ხანძრის, აფეთქებისა, მიწისძვრისა, წყალდიდობისა, ნიაღვრისა და სხვა სტიქიური უბედურების შემთხვევაში.
ცნობებისათვის მიმართეთ რაი (ქალ.) სახდაზღვევის ინსპექციებს.
საქ. სსრ სახდაზღვევის სამმართველო.

სახელმწიფო დაზღვევა
სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები ატარებენ მშრომელთა
სიცოცხლის კოლექტიურ დაზღვევას
დაზღვევა გაფორმდება იმ პირობით, თუ კოლექტივში მომუშავეთა თანამყოფელ რაოდენობის არა ნაკლებ 40% წერილობით განაცხადებს დაზღვევის სურვილს ერთიან სადაზღვევო თანხაში.
დაზღვევა მიიღება 500, 1000, 2000, 3000, 4000 და 5000 მანეთში თითოეულ მშრომელზე.
გადასახდელი—12 მან. წლიურად სადაზღვევო თანხის ყოველ 1000 მანეთზე.
სახდაზღვევა გასცემს სადაზღვევო თანხას დაზღვეულის სიკვდილის გამო ან უბედურ შემთხვევისაგან ინვალიდობის გამო.
დაზღვევა ტარდება მშრომელთა სამუშაო ადგილის მიხედვით.
მოაწყეთ სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევა!
გარდა სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევისა, შეიძლება სიცოცხლის ინდივიდუალურად დაზღვევა, სიცოცხლის ინდივიდუალურად დაზღვევა შეიძლება იმ თანხაში, რომელსაც მოისურვებს მშრომელი.
ცნობებისათვის მიმართეთ რაი (ქალაქის) სახდაზღვევის ინსპექციებსა და დაზღვევის აგენტებს.
საქართველოს სსრ სახდაზღვევის სამმართველო.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 0026